შუახევის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის ანგარიში

პატივცემულო საკრებულოს წევრებო, დამსწრე საზოგადოებავ, წარმოგიდგენთ 2025 წლის გაწეული საქმიანობის ანგარიშს, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტში, როგორც სოციალური და ჯანდაცვის, ასევე ინფრასტრუქტურულ და კულტურულ სფეროებში განხორციელებულ პროექტებს, პროგრამებსა და სხვა გაწეულ სამუშაოს.

მერიის საქმიანობის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს - გამჭვირვალობა, მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა, მათი ინტერესების მაქსიმალურად გატარება, საჯაროობა, კეთილსინდისიერება, გუნდურობა ეფექტური მართვა.

ბიუჯეტი

ბიუჯეტის პროექტს ამზადებს შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები, არის საკმაოდ საპასუხისმგებლო და შრომატევადი პროცესი, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო.

შუახევის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი 33 185 000 ლარს შეადგენდა, ხოლო დაზუსტებული ბიუჯეტი - 34 441 303 ლარს. ხარჯვითი ნაწილი 30 350 593ლარი; წლიური შესრულება 88,12%;

მათ შორის აჭარის ა/რ ბიუჯეტიდან მიღებული კაპიტალური ტრანსფერის 10 550 000 ლარიდან - 8 706 749 ლარი დაიხარჯა, ხოლო ა/რ ბიუჯეტიდან მიღებული სპეციალური ტრანსფერი 1 500 000 ლარიდან დაიხარჯა 1 002 974 ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოიყო 628 000 ლარი, დაიხარჯა 471 748 ლარი.

(2024 წლის ბიუჯეტთან შედარებით 2025 წლის ბიუჯეტი გაზრდილია 8 757 431 ლარით) ხოლო 2026 წლის საწყისი ბიუჯეტი გასული წლის საწყის ბიუჯეტთან შედარებით გაიზარდა 3 130 000 ლარით და შეადგენს 34 280 000 ლარს, 10,05%.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღონისძიებები

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხები მერიის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის დაცვას, სხვადასხვა მოწყვლადი და რისკჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილების ხელშეწყობას, არსებულ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

2025 წლის განმავლობაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში შემოსული და დამუშავებული იქნა 11 992 კორესპონდენცია. განხორციელდა 25 მიზნობრივი პროგრამა, ხოლო სხვადასხვა სახის სერვისით 4 000-ზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა. აღნიშნული პროგრამების ფარგლებში დაიხარჯა 3 302 802 ლარი.

2026 წელს მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს არსებული პროგრამების გაგრძელებას, რისთვისაც ბიუჯეტში გათვალისწინებულია 3 421 200 ლარი, რაც წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით 118 400 ლარით მეტია.

მუნიციპალური პროგრამები მორგებულია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე და მიზნად ისახავს სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას.

პროგრამები:

• ოპერაციების და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსების პროგრამა

გასულ წელს პროგრამით გათვალისწინებული ბიუჯეტი შეადგენდა 155 000 ლარს, დახმარება გაეწია 416 ბენეფიციარს, გაიხარჯა 151 343 ლარი.

პროგრამის მიზანია საყოველთაო დაზღვევისა და აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსების შემდეგ დარჩენილი ბენეფიციარის ასანაზღაურებელი თანხის შევსება.

პროგრამა ითვალისწინებს 0-დან 100 000 ქულამდე დაფინანსებას 100 %-ით არაუმეტეს 1500 ლარისა, 100 000-დან 200 000 ქულამდე 80 %-იან დაფინანსებას არაუმეტეს 1200 ლარისა, ხოლო 200 000-დან 250 000-მდე 70%-იან დაფინანსებას არაუმეტეს 1000 ლარისა. პროგრამა არ ითვალისწინებს პლასტიკურ-კოსმეტიკურ სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას.

2026 წელს პროგრამის სახელწოდება შეიცვალა და არის მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების პროგრამა. ბიუჯეტი განისაზღვრა 150 000 ლარით. ცვლილებები შევიდა დაფინასების ნაწილშიც, პროგრამა ითვალისწინებს 0-დან 120 000 ქულამდე დაფინანსებას 100 %-ით არაუმეტეს 2000 ლარისა, 120 000-დან- 150 000-ის ჩათვლით - 90%, არაუმეტეს 1500 ლარისა, ხოლო 150 000-დან 200 000 ქულამდე- 80% დაფინანსებას არაუმეტეს 1200 ლარისა.

• მოვლის საჭიროების მქონე შშმ პირებისა (ეტლით მოსარგებლე) და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებული (საწოლს მიჯაჭვული) ბენეფიციარებისათვის კვარტალური ფინანსური დახმარება

პროგრამის ბიუჯეტი გასულ წელს შეადგენდა 107 500 ლარს. კვარტალურად 250-ლარიანი ფინანსური დახმარებით ისარგებლა 130 ბენეფიციარმა, რისთვისაც დაიხარჯა 98 000 ლარი.

პროგრამის მიზანია ფინანსური დახმარების გაწევა იმ ბენეფიციარებისთვის (0-დან 200 000 ქულის ჩათვლით შეფასებული შშმ პირები და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებული პირები), რომელთაც ესაჭიროებათ ჰიგიენური და სამედიცინო მოვლის საშუალებების შეძენა.

2026 წელს პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა და 120 000 ლარს შეადგენს.

• ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის ადრეული განვითარების ბავშვთა კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის ბიუჯეტი გასულ წელს შეადგენდა 165 500 ლარს და ითვალისწინებდა 18 წლამდე ასაკის ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვებისა და 0-დან 7 წლამდე ასაკის ადრეული განვითარების დარღვევისა და აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობას. პროგრამით ისარგებლა 84 ბენეფიციარმა, რისთვისაც დაიხარჯა 164 886 ლარი.

პროგრამის მიზანია აბილიტაცია-რეაბილიტაციის საჭიროების მქონე ბენეფიციარებისთვის, თანმხლებ პირთან ერთად, მგზავრობის ხარჯების თანადაფინანსება.

პროგრამის ბენეფიციარები არიან შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფაქტობრივად მცხოვრები 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც სარგებლობენ აჭარის ა/რ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ვაუჩერით და მომსახურებას იღებენ აჭარის ა/რ ტერიტორიაზე მოქმედ სხვადასხვა კლინიკაში.

2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 140 000 ლარს.

• თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების მიზნობრივი პროგრამა ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის

2025 წელს პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 100 000 ლარს და ითვალისწინებდა მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის სოფლის ამბულატორიაში სპეციალისტის მომსახურებისა და მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსებას. პროგრამაში ჩართული იყო შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 55 პირი, რისთვისაც დაიხარჯა 97 400 ლარი.

2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 100 000 ლარს.

• მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა

გასულ წელს პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 345 000 ლარს და ითვალისწინებდა 200-ლარიან მედიკამენტურ ვაუჩერს, რომელიც გათვლილი იყო 1 500 ბენეფიციარზე. პროგრამით საბოლოოდ ისარგებლა 1 713 ბენეფიციარმა და გაიხარჯა 342 609 ლარი.

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ შუახევის ტერიტორიაზე მცხოვრები 100 000 ქულის ჩათვლით ოჯახები, შშმ პირები (მათ შორის 18 წლამდე ასაკის ბავშვები), სამხედრო ძალების ვეტერანები, მრავალშვილიანები (5 და მეტი), მარტოხელა მშობლები და მარტოხელა პენსიონერები.

2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 330 000 ლარს.

• სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა

პროგრამის 2025 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 60 000 ლარს, ისარგებლა 42 ბენეფიციარმა, გაიხარჯა 58 591 ლარი. მომსახურება ითვალისწინებდა ყოველდღიურად სამკომპონენტიან სადილის, რომლითაც სარგებლობდნენ 0-დან 70 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები.

2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 60 000 ლარს.

• ავარიული სახლების მქონე და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა

2025 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 1 241 000 ლარს, ისარგებლა 392 ბენეფიციარმა, რისთვისაც დაიხარჯა 1 240 300 ლარი. პროგრამის მოსარგებლეები არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული სახლების მქონე და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებულ საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები მოქალაქეები (ოჯახები), რომლებსაც არ გააჩნიათ სხვა უსაფრთხო ალტერნატიული საცხოვრებელი,

საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას და ქირით დროებით თავშესაფარში გაყვანას უსაფრთხოების მიზნით.

ფინანსური დახმარება ნაწილდება საცხოვრებლის ტიპის მიხედვით: სოფლის ტიპის დასახლებაში – 300 ლარი, დაბის ტიპის დასახლებაში – 400 ლარი და ქალაქში – 500 ლარი.

2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 120 000 ლარს.

• ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების უზრუნველყოფის თანადაფინანსების პროგრამა

პროგრამის გასული წლის ბიუჯეტი შეადგენდა 82 500 ლარს. პროგრამა ითვალისწინებდა მედიკამენტების შესაძენად ფინანსურ დახმარებას, მაქსიმუმ 150 ლარის ოდენობით. პროგრამიდან გაიხარჯა 66 150 ლარი, ჩართული იყო 441 ბენეფიციარი, რომლებიც არიან შუახევის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად მცხოვრები პირები და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა შეადგენს 100 000 - დან - 200 000-მდე. ჯამში (მერიის ორი პროგრამით) მედიკამენტებით ისარგებლა 2 154-მა ბენეფიციარმა. ასევე მედიკამენტებით ისარგებლა სოციალური სერვისების ცენტრის მიერ მიწოდებული მედიკამენტებით 1000-მდე ბენეფიციარმა, რომლებსაც ემსახურება თსპ ექთნები.

2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 85 500 ლარს.

• მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის მრავალშვილიან ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა

2025 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 90 000 ლარს, ისარგებლა 57 ბენეფიციარმა, გაიხარჯა 77 000 ლარი. პროგრამაში ჩართული არიან ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი. ფინანსური დახმარების გაწევა ხდება 1200 ლარის ოდენობით, ხოლო ყოველ მომდევნო შვილზე 300 ლარით მეტი.

2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 90 000 ლარს.

• გაჭირვებულ ოჯახებზე გარდაცვლილ პირთა სარიტუალო მომსახურებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 45 000 ლარს. დახმარება გაეწია 69 ოჯახს, რისთვისაც დაიხარჯა 40 500 ლარი. პროგრამა ითვალისწინებდა დახმარებას ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენდა 0–150 000, ერთ ოჯახზე 600 ლარის ოდენობით.

2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 70 000 ლარს და გასაცემი თანხა შეადგენს 700 ლარს(გაიზარდა 100 ლარით).

• უკიდურესად გაჭირვებული, ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე და უსახლკარო ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიზნობრივი პროგრამა

გასული წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 350 000 ლარს. ფინანსური დახმარება გაეწია 14 ოჯახს, თითოეულზე 25 000 ლარის ოდენობით, რისთვისაც დაიხარჯა მთლიანად 350 000 ლარი.

პროგრამის მიზანია თანადაფინანსება პროგრამულად, უპირატესობა ენიჭება უსახლკარო, სოციალურად დაუცველ, მრავალშვილიან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებს, რომელთაც საცხოვრებელი სახლი სიძველით დაზიანებული ჰქონდათ და მათი სარეიტინგო ქულა 0–150 000 არ აჭარბებს. პროგრამა მოქმედებს მეცხრე წელია და დღემდე ისარგებლა 70-მდე ბენეფიციარმა.

2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 300 000 ლარს.

• კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამა

2025 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 20 000 ლარს. პროგრამით ისარგებლა 13 ბენეფიციარი, რისთვისაც დაიხარჯა 17 010 ლარი.

პროგრამით ისარგებლა იმ ოჯახებმა, რომელთა საცხოვრებელი სახლი და გარემო პირობები არ იყო უსაფრთხო, აგრეთვე საყოფაცხოვრებო პირობები არასათანადო იყო. ოჯახის მდგომარეობა შეფასდა ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების სპეციალისტების მიერ. გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, ოჯახები უზრუნველყოფილ იქნა საჭირო ინვენტარითა და ნივთებით.

2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 20 000 ლარს.

• ვეტერანთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა ვეტერანთა დღესთან დაკავშირებით

2025 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 100 000 ლარს, ისარგებლა 222 ბენეფიციარმა, გაიხარჯა 90 900 ლარი. ვეტერანთა დღის აღსანიშნავად თითოეულ ვეტერანზე პროგრამულად გაიცა 400 ლარი. ასევე, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრის თითოეულ ოჯახზე ერთჯერადად გაიცა ფინანსური დახმარება 1000 ლარი. მიმდინარე წელს აგვისტოს ომში დაღუპული მეომრის თითოეულ ოჯახზე გაიცემა 2000 ლარი.

2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 100 000 ლარს.

• სპეციფიკური სამკურნალო კვების პროდუქტების შეძენისთვის ფინანსური დახმარების მიზნობრივი პროგრამა

გასული წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 29 000 ლარს, პროგრამით ისარგებლა 3 ბენეფიციარმა, გაიხარჯა 26 031 ლარი. პროგრამის მოსარგებლეები არიან სპეციფიკური საკვების საჭიროების მქონე ბენეფიციარები. თითოეულ ბენეფიციარზე წლიურად გათვალისწინებულია 8000 ლარი.

2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 32 000 ლარს, ისარგებლებს 4 ბენეფიციარი.

• პერსონალური ასისტენტის მომსახურების პროგრამა

2025 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 175 000 ლარს, ისარგებლა 15 ბენეფიციარმა, გაიხარჯა 156 108 ლარი.

ქვეპროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა, პერსონალური ასისტენტების საშუალებით. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნება 18 წლის და მეტი ასაკის შშმ პირებს.
2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 175 000 ლარს.

• დიალიზის პროგრამაში ჩართული შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა ტრანსპორტის ხარჯით უზრუნველყოფის პროგრამა

2025 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 60 000 ლარი, ისარგებლა 10 ბენეფიციარმა, გაიხარჯა 42 689 ლარი. პროგრამა ითვალისწინებს მგზავრობის ხარჯის დაფარვას თანმხლებ პირთან ერთად და თანხის მოცულობა განისაზღვრება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 60 000 ლარს.

• სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლის სახურავის შეძენის პროგრამა

გასული წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 150 000 ლარს, ისარგებლა 109 ოჯახი, გაიხარჯა 149 885 ლარი.

ოჯახების შესწავლა-შეფასების შემდგომ კომისიური წესით ხდება გადაწყვეტილების მიღება და ბენეფიციარების პროგრამაში ჩართვა. პროგრამის მოსარგებლეები არიან 0-დან 150 000 ქულის ჩათვლით ოჯახები.
2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 100 000 ლარს.

• სოციალურად დაუცველი ღატაკი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა

2025 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 6 500 ლარს, ისარგებლა 6 ბენეფიციარმა/ოჯახმა, გაიხარჯა 1 560 ლარი. ოჯახები, რომლებიც სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლების მიერ განმეორებით იქნა შესწავლილი, შეფასდა, როგორც ღატაკი ოჯახი და ახალი შესწავლის შემდეგ, მათი სარეიტინგო ქულა აღემატება 65000, მათზე დახმარების გაწევა სარეიტინგო ქულის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში, თუ არ წარმოიშვა შეწყვეტის სხვა საფუძველი, ოჯახის თითოეულ წევრზე გაიცემა 30 ლარი.

2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 6 500 ლარს.

• მარტოხელა მშობლის სტატუსი მქონე პირთათვის დახმარების მიზნობრივი პროგრამა

2025 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 47 000 ლარს, ისარგებლა 27 ბენეფიციარმა, გაიხარჯა 43 650 ლარი.

პროგრამა ითვალისწინებდა მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებზე ყოველთვიურად 150 ლარის ფინანსურ დახმარებას. მარტოხელა მშობლის სტატუსს ანიჭებს და შესაბამის ბაზას აწარმოებს იუსტიციის სამინისტრო.

2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 96 000 ლარს. ფინანსური დახმარება გაიზარდა და შეადგენს 200 ლარს.

• **პაციენტის განსაკუთრებული სამედიცინო საჭიროებებით უზრუნველყოფის პროგრამა,**

2025 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 19 200 ლარს, ისარგებლა 2 ბენეფიციარმა, გაიხარჯა 19 190 ლარი.

პროგრამა, ესაჭიროებათ პაციენტებს ყოველდღიურად და ითვალისწინებს ფინანსურ დახმარებას არაუმეტეს 800 ლარისა. პროგრამის მოსარგებლემ პროგრამაში ჩართვის მიზნით უნდა წარმოადგინოს სამედიცინო დოკუმენტი ფორმა 100/ა, სადაც განსაზღვრული იქნება საჭიროება.

2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 19 200 ლარს.

• **უსინათლოთა საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფის პროგრამა**

პროგრამა გათვლილი იყო შუახევის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 6 უსინათლო ბენეფიციარზე, ბიუჯეტი 5 000 ლარი. პროგრამის ფარგლებში იგეგმებოდა ხმოვანი გლუკომეტრის, წნევის აპარატისა და თერმომეტრის შეძენა. პროგრამის განხორციელება ვერ მოხერხდა, ვინაიდან იდენტიფიცირებულ ბენეფიციარებმა საჭირო დოკუმენტაციის შეგროვება დროულად ვერ მოახერხეს და ვერ წარმოადგინეს შესაბამისი ინვოისები, რის გამოც ბიუჯეტის ათვისება ვერ მოხდა.

2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 5 000 ლარს.

• **18 წლამდე შშმ ბავშვთა კლიმატო-თერაპიის საკურორტო-სარეაბილიტაციო პროგრამა**

2025 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 24 000 ლარს, ისარგებლა 16 ბენეფიციარმა, გაიხარჯა 19 200 ლარი. პროგრამა ითვალისწინებს საკურორტო-სარეაბილიტაციო მომსახურების დაფინანსებას 18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვებისთვის თანმხლებ პირთან ერთად.

2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 60 000 ლარს.

• **შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოჯახში ახალდაბადებული ბავშვის მატერიალური დახმარების პროგრამა**

2025 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 30 000 ლარს, ისარგებლა 93 ბენეფიციარმა, გაიხარჯა 27 900 ლარი. პროგრამა ითვალისწინებს ერთჯერადად ფინანსურ დახმარებას ყოველ ახალშობილზე 300 ლარის ოდენობით.

2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 50 000 ლარს, ხოლო პირველ ახალშობილზე დახმარება გაიცემა 500 ლარის ოდენობით და ყოველ მომდევნო შვილზე 100 ლარით მეტი.

• **ონკოლოგიურ და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებულ დაავადებების და ტრავმული დაზიანებების მქონე სოციალურად შეჭირვებულ პირთა ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა**

2025 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 40 000 ლარს, ისარგებლა 72 ბენეფიციარმა, გაიხარჯა 22 400 ლარი. პროგრამით სარგებლობის მიზნით მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს სოციალური ქულის ამონაწერი

(0-დან 200 000 -მდე)ფორმა N100, ბანკიდან მოქმედი ანგარიშის ნომერი. მოქალაქის პროგრამაში ჩართვას განიხილავს სოციალურ საკითხთა კომისია

2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 40 000 ლარს.

• მრავალშვილიანი ოჯახების წევრი სტუდენტების და მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სტუდენტი შვილის ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამა

2025 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 12 000 ლარს, ისარგებლა 3 ბენეფიციარმა, გაიხარჯა 3 600 ლარი. პროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახის წევრი შვილის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხული პირველი კურსის სტუდენტზე, ერთჯერად ფინანსურ დახმარებას 1 200 ლარის ოდენობით.

2026 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 12 000 ლარს.

სტატისტიკა:

2020 წელი - 9 პროგრამა, წლის ბიუჯეტი - 274 163 ლარი, ბენეფიციარი -490

2021 წელი – 14 პროგრამა, ბიუჯეტი - 676 371 ლარი, ბენეფიციარი - 1 559

2022 წელი – 15 პროგრამა, ბიუჯეტი -922 220 ლარი, ბენეფიციარი - 1962

2023 წელი – 15 პროგრამა, ბიუჯეტი - 1 101 889 ლარი, ბენეფიციარი - 2653

2024 წელი – 18 პროგრამა, ბიუჯეტი - 1 433 272 ლარი, ბენეფიციარი - 3 067

2025 წელი - 25 პროგრამა, ბიუჯეტი- 3 302 802 ლარი, ბენეფიციარი - 4005

2026 წელი - 25 პროგრამა, ბიუჯეტი - 3 421 200 ლარი

მუნიციპალური პროგრამების პარალელურად, სამსახური მერიის სახელით მონაწილეობს ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების პროცესში, რომელსაც ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

2025 წლის განმავლობაში განხორციელებულია შემდეგი სამუშაოები:- პროგრამის ფარგლებში დაკმაყოფილდა 43 ოჯახი; სამინისტროს მხრიდან საცხოვრებელი შეთავაზება აქვს 92 ოჯახს; 105 ოჯახზე შედგენილია და წარდგენილია შუამდგომლობა; 23 ოჯახის საკითხი განხილულია და ველოდებით შესაბამის ოქმს; 117 ოჯახის შუამდგომლობაზე შემოსულია წერილი; მერიის კომისიის მიერ 5 ოჯახს ეთქვა უარი.

სტიქიის განყოფილების მიერ 2025 წლის განმავლობაში 14-ჯერ იქნა მოწვეული აჭარის გარემოს დაცვის სააგენტოს გეოლოგიური სამსახურისა და საქართველოს გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს ზვავის შემსწავლელი სპეციალისტთა ჯგუფები. მათ მიერ შესწავლილია 650 ოჯახის საცხოვრებელი პირობები. გეოლოგიური დასკვნის მიხედვით, ადგილმონაცვლეობას ექვემდებარება 97 ოჯახი, 170 ოჯახის

საცხოვრებელ სახლს ესაჭიროება აღდგენა-გამაგრება, ხოლო 9 ოჯახი საცხოვრებელი სახლის სიძველის გამო საჭიროებს შესაბამის რეაგირებას. დანარჩენი დასკვნები ეხება სადრენაჟო სისტემების მოწყობას, მისასვლელი გზებისა და ტერიტორიის უსაფრთხოების უზრუნველყოფას და ა.შ.

2025 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრების მიზნით დახმარება გაეწია 87 ოჯახს, საერთო ჯამში 1 111 199 ლარის ოდენობით, მათ შორის 2 ოჯახი იყო ხანძრის შედეგად დაზარალებული.

2025 წლის თებერვალში განვითარებული სტიქიის შედეგად დაზარალებულ 9 ოჯახს საქართველოს მთავრობის განკარგულებით სარეზერვო ფონდიდან გამოეყო და ჩაერიცხა 75 621 ლარი.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სარეზერვო ფონდიდან, სტიქიისა და სხვადასხვა სახის ზიანის შედეგად დაზარალებული მუნიციპალიტეტში მცხოვრები დაახლოებით 70 ოჯახისთვის, სტიქიისა და სოციალურ საკითხთა კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, ნაწილობრივ ანაზღაურდა ზარალი 98 090 ლარის ოდენობით.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სარეზერვო ფონდიდან, ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 300-მდე პირს, სტიქიისა და სოციალურ საკითხთა კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, აუნაზღაურდა სამედიცინო ხარჯები 157 512 ლარის ოდენობით.

სულ, 2025 წელს შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სარეზერვო ფონდიდან, სტიქიისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ გაცემული დადებითი რეკომენდაციისა და მერის ბრძანების საფუძველზე, სხვადასხვა საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით დაფინანსდა 370 ოჯახი/პირი, საერთო ჯამში 255 602 ლარის ოდენობით.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერია წლების განმავლობაში თანამშრომლობს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან. 2025 წელს, თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, მერიის 29 000 ლარის თანადაფინანსებით, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ განხორციელდა სხვადასხვა სოციალური აქცია, მათ შორის უფასო სამედიცინო აქცია, რომლითაც 200-მდე შუახევში მცხოვრებმა მოქალაქემ ისარგებლა. ასევე, მუნიციპალიტეტმა მიიღო 1 090 კგ ჰუმანიტარული ტვირთი, რომელიც გადანაწილდა სოციალურად დაუცველ და სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებზე.

2026 წელსაც გრძელდება თანამშრომლობა საქართველოს წითელ ჯვრის საზოგადოებასთან, რომლის ფარგლებში საერთო ბიუჯეტში მუნიციპალიტეტის წილი 6 000 ლარზე მეტით გაიზარდა და შეადგენს 35 000 ლარს.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად თანამშრომლობს ყველა ორგანიზაციასთან და დაინტერესებულ ფიზიკურ პირთან, რომლებიც მონაწილეობენ მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული სოციალური ღონისძიებების განხორციელებაში.

2025 წლის განმავლობაში, სხვადასხვა ინიციატივის ფარგლებში და მერიის ჩართულობით, შუახევის მუნიციპალიტეტში 6-ჯერ, სხვადასხვა დროს, ჩატარდა სამედიცინო ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევები, რის შედეგადაც მოსახლეობას მიეცა კვალიფიციური სამედიცინო რეკომენდაციები. აღნიშნული სერვისებით საერთო ჯამში 600-მდე პირმა ისარგებლა უფასოდ.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს დაქვემდებარებულია ორი ორგანიზაცია:-შუახევის სოციალური სერვისების ცენტრი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრი.

სოციალური ცენტრის სერვისების ძირითადი ფუნქციები მოიცავს:- შუახევის ტერიტორიაზე მოქმედი ამბულატორიების ექიმებისა და სამედიცინო პუნქტების მედდების საქმიანობის მონიტორინგს; თემის სამედიცინო პუნქტის მედდებისა და ამბულატორიის ექიმებისათვის სამედიცინო მედიკამენტებისა და საგნების, ასევე „ექიმის ჩანთით“ გათვალისწინებული მედიკამენტების შეძენა და დროული მიწოდება; საავტომობილო ტრანსპორტით მომსახურებას და სამედიცინო პერსონალის საქმიანობის ხელშეწყობას; სოციალური ხასიათის მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას და სხვა შესაბამის საქმიანობას.

2025 წელს სოციალური სერვისების ცენტრის მიერ თემის სამედიცინო პუნქტის მედდებისა და ამბულატორიის ექიმებისთვის შეძენილი და დროულად გადაცემული იქნა 27 643 ლარის სამედიცინო მედიკამენტები და სამედიცინო საგნები, რომელიც კვარტალში ერთხელ გადაეცემა აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებებს.

დღეის მდგომარეობით, შუახევის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფს 12 ამბულატორია, 39 სამედიცინო პუნქტი და 47 თემის სამედიცინო პუნქტის ექთანი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრი ემსახურება 14 ბენეფიციარს. ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მრავალფეროვანი მომსახურებით, მათ შორის: მასწავლებლის, ფსიქოლოგის, მასაჟისტის, ლოგოპედისა და სპეციალური მასწავლებლის სერვისებით. ცენტრი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ხოლო მომსახურებაში შედის კვება და ტრანსპორტირება. ბენეფიციარები ასევე სარგებლობენ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაუჩერით. შუახევის დღის ცენტრი რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესოა.

განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური

2025 წელს, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ბიუჯეტი შეადგენდა 487 000 ლარს, რომლის ფარგლებში 100-მდე კულტურულ-სპორტული ღონისძიება, შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროექტი განხორციელდა. 2026 წელს ბიუჯეტი განისაზღვრა 545 000 ლარით.

გასული წლის განმავლობაში გაიმართა მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი ღონისძიებები, მათ შორის სახალხო დღესასწაულები (მარეთობა, სელიმობა, კუნტიჯვრობა, შუამთობა, შუახევობა), ინტელექტუალური თამაშები, დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, მასწავლებლის ეროვნული დღე, მასწავლებელთა მუნიციპალური კონფერენცია, პირველად ჩატარდა ადრინდელი და სკოლამდელი განათლების პირველი მუნიციპალური კონფერენცია და ა.შ. წარმატებით ჩატარდა კალენდარული ღონისძიებები სხვა მნიშვნელოვან, პროფესიულ და ეროვნულ თარიღებზე.

საქართველოს მთავრობისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით მთავარი გრანდიოზული საახალწლო ღონისძიება გაიმართა. განსაკუთრებულად ლამაზი საახალწლო ილუმინაციებითა და აქსესუარებით განათდა მუნიციპალიტეტის ქუჩები.

კულტურის ცენტრთან არსებული ვოკალური და ფოლკლორული ანსამბლების წარმატებით მონაწილეობა სხვადასხვა ფესტივალებსა თუ ღონისძიებებში, ქვეყნის მასშტაბით და ასევე ქვეყნის გარეთ.

• ანსამბლების „ზე-კართან“, „შუახევი“ გასტროლი თურქეთში, ქალაქი აფიონი;

• პროექტი ,,ხალხური“ - ანსამბლი „ჭვანა“, გახდა პროექტის ფინალისტი;

•ანსამბლი ,,ნაი"მონაწილეობდა ქ. თბილისში, ქართველ ქალთა ტრადიციული მუსიკის მესამე ფესტივალში „ნანინა 2025“. ასევე, ქ. ოზურგეთში ანსამბლმა „ნაი“ გამართა გასვლითი კონცერტი;

• იალონის შემოქმედებითი ტური აჭარაში - მონაწილეობდნენ ანსამბლები ნაი, ფესვები, მარეთი;

• ღვთისმშობლის სახელობის ფესტივალი - ქალაქი ბათუმი ანსამბლი შუახევი;

• ანსამბლი „ზე-კართან“ საქველმოქმედო ღონისძიება ბათუმში.

პირველად ჩატარადა ფესტივალი „შვილიშვილები“, რომელიც ხელოვნებისა და ფოლკლორის თაობათა შორის გადაცემას მიეძღვნა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ახალგაზრდა ხელოვანები, რომლებიც დღემდე აგრძელებენ წინაპართა გზას - მღერიან ხალხურ სიმღერებს, ცეკვავენ ტრადიციულ ცეკვებს, ქმნიან ხელნაკეთობებს და ამ გზით ინარჩუნებენ მშობლიური კუთხის სულიერ სიმდიდრეს. ასევე, გაიმართა „შუახევური საღამო“ ბათუმის საზაფხულო თეატრში, სადაც კულტურის ცენტრის ფოლკლორულ და ქორეოგრაფიულ ანსამბლებთან ერთად, ინდივიდუალური შემსრულებლები მონაწილეობდნენ. ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო სამუზეუმო ექსპონატები, ტრადიციული ხელნაკეთი ნივთები და აჭარული ნაქარგები. მოეწყო შუახევის ტრადიციების ამსახველი ფოტო-გამოფენა და ტრადიციული კერძების დეგუსტაცია.

აჭარის კულტურის სამინისტროს დაფინანსებით განხორციელდა სასცენო ფორმებისა და მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა. კერძოდ, ანსამბლ „შუახევისათვის“ შეძენილ იქნა 18 წყვილი სასცენო სამოსი, ერთი საკონცერტო დოლი და ერთი ჭიბონი.

კულტურის ცენტრის დაფინანსებით განხორციელდა სხვადასხვა ტექნიკური, საოფისე და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების, კომპიუტერული აღჭურვილობისა და ბიბლიოთეკებისთვის წიგნების შეძენა. აღნიშნული შესყიდვები განხორციელდა ცენტრის ფუნქციონირების გაუმჯობესებისა და სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად.

შუახევის ხელოვნებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლის მოსწავლები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებებში. სკოლაში ირიცხება 170 მოსწავლე. ისწავლება ფორტეპიანო, სოლფეჯიო, გიტარა, სიმღერა და მუსიკის ლიტერატურა. მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილებაში ფუნქციონირებს სხვადასხვა შემოქმედებითი და საგანმანათლებლო წრე(მუსიკის ლიტერატურა, სოლფეჯიო, გუნდი, ფორტეპიანოს კლასი, გიტარის კლასი, მხატვრული-კითხვის წრე, ლიტერატურის წრე, მხარეთმცოდნეობის წრე, ჟურნალისტიკის წრე, ქორეოგრაფიის, ხელნაკეთი ნივთების შემსწავლელი წრე, სალოტბარო სკოლა, ბენდი117) სალოტბარო სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ფოლკლორის ცენტრთან. გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე შუახევში ფუნქციონირებს სალოტბარო სკოლა, სადაც ახალგაზრდები ეუფლებიან ქართულ ხალხურ სიმღერასა და ტრადიციულ გალობას.

სკოლაში ფუნქციონირებს ახალგაზრდული ვოკალურ-ინსტრუმენტული ბენდი, სადაც მოსწავლეები ეუფლებიან სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრას, შეძენილი იქნა ვიოლინო. გასულ წელს შუახევის მერიის მხარდაჭერით ხიჭაურის სკოლაში შეიქმნა მუსიკალური ბენდი, ხოლო ფურტიოს სკოლაში ვოკალურ-ინსტრუმენტული ბენდი. შეძენილი იქნა სასცენო ფორმა ბუთურაულის სკოლის ფილიალის ქორეოგრაფიული ანსამბლისთვის.

2025 წლის ოქტომბრიდან სკოლაში გაიხსნა ანიმაციური სტუდია, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ შეისწავლონ ანიმაციური ფილმების შექმნა.

დღეის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 15 ბაგა-ბაღი და 8 ალტერნატიული ჯგუფი, სულ 285 აღსაზრდელით. გასულ წელს ხიჭაურისა და დღვანის ბაგა-ბაღებმა გაიარეს ავტორიზაცია. მიმდინარე წელს იგეგმება ფურტიოსა და ხაბელაშვილების ბაგა-ბაღების ავტორიზაცია.

აქტიურად ვთანამშრომლობთ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და შუახევის რესურსცენტრთან.

რესურსცენტრთან თანამშრომლობითა და მერიის დაფინანსებით ჩატარდა მასწავლებელთა მუნიციპალური კონფერენცია. მოქმედებს ლიტერატურისა და ინგლისური ენის მოყვარულთა კლუბი.

მერიის დაფინანსებით ჩატარდა მუნიციპალური საგნობრივი კონკურსი: ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიასა და სამოქალაქო განათლებაში, გეოგრაფიაში, ბიოლოგიასა და მათემატიკა. მიმდინარე წელს დაგეგმილია მოსწავლეთა კონფერენცია -,,ჩემი სოფლის ისტორია“.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, შუახევის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში განხორციელდა მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომლებიც მიზნად ისახავდა სასწავლო გარემოს გაუმჯობესებასა და უსაფრთხოების სტანდარტების ამაღლებას.

10 -მდე სკოლაში განხორციელდა ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები. დაბა შუახევის საჯარო სკოლაში განხორციელდა სახანძრო უსაფრთხოების სამუშაოები, სოფელ ნენიის საჯარო სკოლაში გარემონტდა პირველი სართული და დარბაზი, სველი წერტილები და განახლდა ფასადი, ხიჭაურის საჯარო სკოლაში მოეწყო სპორტდარბაზი, დაემატა საკლასო ოთახები და განახლდა გათბობის სისტემა, ჟანივრის საჯარო სკოლაში განახლდა გარე ფასადი, ბარათაულის საჯარო სკოლაში მოეწყო ცენტრალური გათბობა და განხორციელდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია, ფურტიოს საჯარო სკოლაში მოწესრიგდა გათბობის სისტემა, განხორციელდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია და განახლდა ფასადი, ელვაურის დაწყებითი კლასების შენობას ჩაუტარდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

სპორტული ინვენტარით აღიჭურვა 8 საჯარო სკოლა. 2026 წელს ერთ სკოლაში მოეწყობა რემოდელირებული ბიბლიოთეკა, ერთში სახელოვნებო სივრცე, ხოლო ერთ სკოლაში საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.

67 პირველკლასელსა და 17 საბაზო საფეხურის კურსდამთავრებულს გადაეცა პორტატული კომპიუტერი. კომპიუტერული ტექნიკით აღიჭურვა საჯარო სკოლები. საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამით 17 სკოლაში იგეგმება საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის მოწყობა. ტრანსპორტი ემსახურებოდა 34 სკოლას, 105 უბანს და 592-ზე მეტ მოსწავლეს, 15 574 მოსწავლემ მიიღო წიგნი და რვეული.

სპორტის განვითარება მერიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. მუნიციპალიტეტი გააგრძელებს ამ მიმართულებით განვითარებასა და ახალგაზრდა თაობის მხარდაჭერას. ბოლო წლებში გაიზარდა სპორტის მიმართულებით ბიუჯეტი, დაემატა ახალი სპორტული წრეები, აშენდა და რეაბილიტირდა 20-მდე სპორტული მოედანი, განხორციელდა სპორტული ცენტრის რეაბილიტაცია და აღიჭურვა ახალი სპორტული ინვენტარით.

სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით იმართება სპორტული ღონისძიებები და სპორტულ აქტივობებში გამარჯვებულები ჯილდოვდებიან ფულადი პრიზებით. ამ მიმართულებით გაიზარდა ფულადი ჯილდოს დაფინანსება წარმატებულ სპორტსმენებსა და მწვრთნელებზე. გასულ წელს ფულადი ჯილდოს სახით გაიცა 49 352 ლარი. დაჯილდოვდა 282 სპორტსმენი და 82 მწვრთნელი. რეგიონალური, რესპუბლიკური და საერთაშორისო ღონისძიებების ფარგლებში გამოვლინდა 14 ჩემპიონი და 53 პრიზიორი.

მიღწეული შედეგები:- თავისუფალ ჭიდაობაში აჭარისა და რესპუბლიკური ტურნირების: 3 ჩემპიონი და 21 პრიზიორი; ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 3- პრიზიორი; ქართულ ჭიდაობაში აჭარის ტურნირებისა და პირველობების: 10 ჩემპიონი და 28 პრიზიორი; კრივში აჭარის პირველობის 1 ჩემპიონი; სათხილამურო სპორტში 1 პრიზიორი.

ანრი ფუტკარაძე, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, დაჯილდოვდა 3500 ლარით, ხოლო თათია ფუტკარაძემ მსოფლიო ჩემპიონატში დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი. ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯები დაფინანსდა შუახევის მერიის მიერ და შეადგინა 1650 ლარი.

მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს შუახევის რაგბის განვითარების სკოლის გუნდებს. სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს 5 შერეული ასაკობრივი ჯგუფი. მონაწილეობდნენ აჭარის რაგბის ფესტივალში, საგაზაფხულო და საშემოდგომო თამაშებზე, დასავლეთ საქართველოს სარაგბო ფესტივალებში. შუახევის მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა რაგბის ღია ფესტივალს.

შუახევის სპორტულ ცენტრსა და რაგბის განვითარების სკოლაში გაერთიანებულია 480-მდე მოსწავლე, სადაც მოქმედებს სპორტის 11 სახეობა და 31 სპორტული წრე.

წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების ხელშეწყობის მიზნით გაცემული ფულადი ჯილდოს სტატისტიკა

2020 წელი - 27 სპორტსმენი, 9 მწვრთნელი-2 350 ლარი;

2021 წელი - 82 სპორტსმენი, 36 მწვრთნელი - 12 100 ლარი;

2022 წელი - 229 სპორტსმენი, 47 მწვრთნელი -18 771 ლარი;

2023 წელი -337 სპორტსმენი, 99 მწვრთნელი- 29 744 ლარი;

2024 წელი 199 სპორტსმენი, 72 მწვრთნელი -29 295 ლარი;

2025 წელი-282 სპორტსმენი, 82 მწვრთნელი-49 352 ლარი;

2026 – 50 000 ლარი.

ტურიზმის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება

„სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია ,,2023-2026“-ის და მუნიციპალიტეტის ვალდებულების შესაბამისად, მაქსიმალურად ვცდილობთ ხელი შევუწყოთ თანაბარი შესაძლებლობებისა და პირობების შექმნას ახალგაზრდებისთვის, რომელსაც შევთავაზებთ მათ საჭიროებებზე მორგებულ ღონისძიებებს, რომელიც შესაბამისობაშია 2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციასთან.

2025 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 50 000 ლარს, რომლის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა შემეცნებითი და გასართობი აქტივობები. არაფორმალური განათლების ხელშეწყობის ფარგლებში, გასული წლის განმავლობაში ჩატარდა მრავალფეროვანი ტრენინგ-სემინარები, ლაშქრობები.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს - მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო, რომელიც წელსაც განახლებული შემადგენლობით აქტიურ რეჟიმში გააგრძელებს მუშაობას და მნიშვნელოვანი პლატფორმა იქნება თვითმმართველობასთან პირდაპირი კომუნიკაციის.

ფინანსურად წახალისდნენ ტარიელ ფუტკარაძის სახელობის სტიპენდიით 6 სტუდენტი. რამაზ სურმანიძის სახელობის ფულადი ჯილდო გადაეცა 5 სტუდენტს. სულ დღემდე დაფინანსდა 60- მდე სტუდენტი. მიმდინარე წლიდან ტარიელ ფუტკარაძისა და რამაზ სურმანიძის სახელობის ფულადი ჯილდო ორმაგდება და გაიცემა 1000-1000 ლარი. ასვე, მუშავდება ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა წახალისების პროგრამა.

ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს არაფორმალური განათლების ხელშეწყობა. გასულ წელს დავიწყეთ საზაფხულო ბანაკების ორგანიზება. კურორტ გოდერძიზე განხორციელდა პიროვნული განვითარების ბანაკი, რომელშიც მონაწილეობა 20 ახალგაზრდამ მიიღო, ხოლო სოფელ ბრილში „ბრილი არტი“-ს, საზაფხულო ბანაკი გაიმართა, რომელშიც კერამიკით დაინტერესებული ახალგაზრდები ოთხდღიან ვორქშოპებს დაესწრნენ.

ტურიზმი

მუნიციპალიტეტის მთავარ პრიორიტეტად რჩება ტურიზმის განვითარება. აქტიურად ვთანამშრომლობთ, აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან, რომელიც არაერთ პროექტს ახორციელებს.

2025 წელს ჩირუხის მთაზე ევროპაში ყველაზე გრძელი ორზოლიანი ზიპლაინი გახსნა. საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით განხორციელდა ზიპლაინის მშენებლობის თითოეული ეტაპი. პროცესში ჩართული იყო იტალიური კომპანია. პროექტის ჯამურმა ღირებულებამ 9 მილიონი ლარი შეადგინა.

ჩირუხის ზიპლაინი გამორჩეული ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურაა მაღალმთიან აჭარაში, რაც ერთის მხრივ ხელს შეუწყობს ტურისტული პოტენციალის გაზრდას, ხოლო მეორე მხრივ, დადებითად აისახება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ჩირუხის მთა დაკავშირებულია ხულოს მუნიციპალიტეტის ტურისტულ მარშრუტებთან და კურორტ გოდერძთან, სადაც უკვე მოწყობილია ტურისტული ბილიკები.

აქტიურად მიმდინარეობს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადგილობრივების სოციალურ და ეკონომიკურ გაძლიერებას, ასევე ტურისტებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნას.

გასულ წელს ინფრასტრუქტურა მოეწყო დარჩიძეებში, ლელთის ტბაზე, ოთოლთასა და 9 აპრილის ხეივანში, ხოლო მიმდინარეობს ტომაშეთისა და საახალდაბოს ინფრასტრუქტურის მოწყობა.

მარკირებული მარშრუტები:- მთა ღომას ტურისტული მარშრუტი, ზამლეთი-ხიხაძირი-ჩირუხი-შუახევი, ხაბელაშვილები-ჯვარიმინდორი-პერანგა-ცხემლისი (ჭვანის ხეობა), ჩირუხი-ხიხანი-გოდერძის ალპური მარშრუტი.

ტურისტული მიმართულებით დაგეგმილი იდეები და ინიციატივები, რომლების განხორციელებას ვგეგმავთ ეტაპობრივად:

• თამარის ციხესთან, ჩანჩხალოსა და ბუნებრივ მაცივრებთან მისასვლელი გზის მოწყობა;

• დაბა შუახევის ვეტუბნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი თაღოვანი ხიდის გარშემო ტურისტული ლოკაციის შექმნა;

• ტბეთის გონქეთის უბანში ჩანჩქერებთან მისასვლელი ბილიკის მოწყობა;

• ცინარეთის ციხეზე ბილიკის მიყვანა;

• სოფელ ჯაბნიძეებში, ქაშვეთის ნაეკლესიართან ტურისტული ლოკაციის მოწყობა და ბილიკის გამართვა;

• წაბლანის ნაეკლესიართან საფეხმავლო ბილიკის მოწყობა;

• კვიახიძეებ ჩანჩქერთან მისასვლელი გზისა და ინფრასტრუქტურის მოწყობა;

• დარჩიძეებიდან კუნტიჯვრამდე ტურისტული ბილიკის მოწყობა ნაეკლესიარის გავლით;

• სოფელ ბარათაულში, ხიდთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (თოფჩიშვილების წყარო);

• ცხემლისის ჩანჩქერთან მისასვლელის მოწყობა;

• ინწკვირეთში გადასახედის მოწყობა;

• გომარდულში ახალი საჩოჩიალოს მოწყობა.

გარდა სახელმწიფო პროექტებისა, სოფელ ჩანჩხალოში გრძელდება ტურისტული სივრცის მოწყობა. მრავალფუნქციური ტურისტული პროექტი ხელს უწყობს ტურისტული ბიზნეს-გარემოს განვითარებას, ვიზიტორების მოზიდვას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასა და მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს დაახლოებით 60-მდე საოჯახო ტიპის სასტუმრო და კოტეჯი, რომლებიც ტურისტებს კომფორტულ დასვენებას სთავაზობენ მთელ სეზონზე.

განსაკუთრებით პოპულარულია სოფელი გომარდული, სადაც იგეგმება ოთხსეზონიანი ტურისტული კურორტის განვითარება, რაც დამატებით შესაძლებლობებს ქმნის აქტიური დასვენებისა და კულტურული ღონისძიებებისათვის. ბოლო წლებში გატარებულმა სწორად დაგეგმილმა პოლიტიკამ გომარდულის მიმართ კერძო სექტორის ინტერესი მნიშვნელოვნად გაზარდა. აშენდა ახალი სახლები და გაიხსნა არაერთი საოჯახო ტიპის სასტუმრო. განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, რამაც კურორტის პოტენციალი საგრძნობლად გაზარდა.

მიმდინარე წელს დასრულდება სოფლის ცენტრსა და სათხილამურო ბაზის მიმდებარედ, ჯამში ოთხ ლოკაციის კეტილმოწყობა, რომლის საერთო ღირებულება მილიონ ლარამდეა.

სამომავლოდ დაგეგმილია სათხილამურო ტრასის გაფართოება და საბაგიროს სიგრძის გაორმაგება. ასევე ეწყობა თანამედროვე წყალმომარაგებისა და წყალარინების, მათ შორის საკანალიზაციო სისტემები, რომლებიც დასრულების ეტაპზეა.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიმართულებით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები, ღონისძიებები. მუნიციპალიტეტი სხვადასხვა აქტივობებით ყოველწლიურად უერთდება ,,16 დღიან გლობალურ კამპანიას ძალადობის წინააღმდეგ". აქტიურად ვთანამშრომლობთ სხვადასხვა ორგანიზაციებთან, კერძო და სახელმწიფო სექტორთან.

გასულ წელს „სოფლად მცხოვრები ქალების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერების“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 3 პროექტი. პროგრამის ბიუჯეტი შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ თანადაფინანსებით 25 000 ლარით გაიზარდა და ჯამში 55 000 ლარი შეადგინა. პროგრამა 2019 წლიდან ხორციელდება და დღემდე 24 ბიზნეს იდეა დაფინანსდა.

2026 წლიდან აღნიშნულ პროგრამაში ჩართულობა ახალგაზრდებსაც შეეძლებათ, რომლის ბიუჯეტი 50 000 ლარს შეადგენს. თითოეული პროექტის მინიმალური ბიუჯეტი იქნება 5 000 ლარი, მაქსიმალური კი 16 000 ლარი.

ინფრასტრუქტურული ღონისძიებები

2025 წელს, შუახევის მუნიციპალიტეტში დაიგეგმა სხვადასხვა მიმართულებით ინფრასტრუქტურული პროექტები და პრიორიტეტული ღონისძიებები.

აჭარის კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში 2025 წელს შუახევის მუნიციპალიტეტზე ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყოფილი იყო 10 550 000 ლარი.

სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში, ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისათვის გამოყოფილი იყო 840 000 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტით 2025 წელს დაგეგმილი იყო 861 679 ლარის ღირებულების 33 ღონისძიება, რომელთაგან 29 დასრულდა, სამი მიმდინარეა, ერთი შეწყდა საბოლოო შესრულებამ შეადგინა 93%-ს.

ჯამში განხორციელდა 170 ინფრასტრუქტურული ღონისძიება.

მათ შორის:- საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, საპიკნიკე ინფრასტრუქტურის, დაბისა და სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია, საზაფხულო იალაღების ელექტროფიკაცია და ა.შ.

205 ინფრასტრუქტურული ღონისძიებებიდან დასრულდა 170 ღონისძიება, 22 მიმდინარეა, 4 უარყოფითი შედეგით დასრულდა, 15 ხელშეკრულება არ დასრულების გამო შეწყდა.

შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა სამუშაოებისათვის განხორციელდა 8 508 069 ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, მიმდინარეობს 2 000 000 ლარის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა და 21 800 ლარის საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება. მშენებლობის და სივრცითი მოწყობის განყოფილების მიერ მომზადებული და გადაფასებული იქნა 150-ზე მეტი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

2025 წელს გაიცა მშენებლობის 10 ნებართვა და გაიცა 21 შეთანხმება, მომზადებული იქნა მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების 17 პირობა.

2025 წელს ეკონომიკის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მიერ მომზადდა და საკრებულოს მიერ დამტკიცდა: 1. შუახევის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა; 2. მდგრადი განვითარების მიზნების შუახევის მუნიციპალური დოკუმენტი.

ამჟამად მიმდინარეობს გეგმის შემუშავება: 1. მრავლობითი საფრთხეების რისკის მართვის; 2. დაბა შუახევის განაშენიანების; 3. მთა ღომას განაშენიანების 10 წლიანი გეგმა.

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტისათვის უმნიშვნელოვანესია. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაციის პროცესი შუახევში აქტიურად მიმდინარეობს.

2025 წელს, ხიჭაურის, შუბნისა და ხაბელაშვილების ბაგა-ბაღებს ჩაუტარდა რეაბილიტაცია. დასრულდა დღვანის, შუბნის, ხიჭაურისა და ხაბელაშვილების ბაღის ეზოს კეთილმოწყობა, ბიუჯეტი - 86 000 ლარი.

მიმდინარეობს ბარათაულისა და ბუთურაულის ბაგა-ბაღების სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელსაც მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს. ბიუჯეტი - 2 148 290 ლარი.

სპორტული ინფრასტრუქტურაა

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიისათვის, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

2025 წელს, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, დასრულდა სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია ფურტიოს, დღვანისა და ფრიდონ ქარცივაძის სახელობის სკვერთან (ნაჭივრის ხიდი). ბიუჯეტი - 65 000 ლარი.

2026 წელს, დაგეგმილია რამდენიმე მოედნის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის: ბრილის, წაბლანისა და მთა საყენდრიას სპორტული მოედნის მშენებლობა, ტბეთისა და გოგაძეების არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაცია.

დაბისა და სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა

შუახევში, დაბის განვითარების პროექტის ფარგლებში ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარე წელსაც გაგრძელდება.

დაბის ცენტრის კეთილმოწყობის პარალელურად, სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა მიმდინარეობს. დღეის მდგომარეობით მოეწყო 30-ზე მეტი სოფლის ცენტრი, დაიხარჯა 3 000 000 ლარზე მეტი. პროექტი მიზნად ისახავს, სოფლის ცენტრებში ადგილობრივი მოსახლეობისთვის ყველა საჭირო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასა და ტურისტებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნას.

2025 წელს, დასრულდა დაბის კეთილმოწყობის პირველი ეტაპი, ტაკიძეების, ჭვანის, ნიგაზეულის, ხიჭაურის, ნენიისა და ჯაბნიძეების ცენტრების კეთილმოწყობითი სამუშაოები. მიმდინარეობს დაბის მეორე ეტაპი, გომარდულის, ზამლეთისა და ჭალის ცენტრების კეთილმოწყობა.

დაბა შუახევის, კარაპეტის, ნაღვარევის, ხაბელაშვილებისა და მახალაკიძეების ცენტრებზე მიმდინარეობს კეთილმოწყობის საპროექტო სამუშაოები.

დაბისა და სოფლის ცენტრების მოწყობა მიმდინარე წელსაც გაგრძელდება, რაზეც 3 627 100 ლარი დაიხარჯება.

საგზაო ინფრასტრუქტურა

2025 წელს შუახევის მუნიციპალიტეტში აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ სხვადასხვა სახის საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდა.

გარდამავალი პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა 3 მიმართულებით 10,5 კმ საავტომობილო გზაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო 11 კ მ სიგრძის საავტომობილო გზაზე მოეწყო ცემენტ-ბეტონის საფარი.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1 საავტომობილო ხიდს. მოეწყო 25 ხელოვნური ნაგებობა, მათ შორის საყრდენი კედლები და გაბიონები.

2025 წელს რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, მათ შორის, ხიჭაური-ნაღვარევის, ჭვანა-გომარდულისა და წაბლანა-ღომას მიმართულებით.

შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოიტანეს 4 300 კბ ბეტონი, მერიის მიერ დაიგო 12 კმ ბეტონი. ბიუჯეტი - 2 220 000 ლარამდე (ადგილობრივი და კაპიტალური ბიუჯეტი).

2026 წელს შუახევის მუნიციპალიტეტში აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ სხვადასხვა სახის საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოებია დაგეგმილი.

2026 წელს შუახევის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის დაახლოებით 8 100 000 ლარი დაიხარჯება.

დაგეგმილია 5 მიმართულებით საავტომობილო გზაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მშენებლობა და რეაბილიტაცია, ხოლო 12 კმ. სიგრძის საავტომობილო გზაზე - ცემენტ-ბეტონის მოწყობა.

დაგეგმილია 8 საავტომობილო ხიდის პროექტირება/მშენებლობა და რეაბილიტაცია.

დაგეგმილია 49 ხელოვნური ნაგებობის პროექტირება/მშენებლობა და რეაბილიტაცია.

დაგეგმილია შემდეგი საავტომობილო გზების რეაბილიტაცია: შუახევი-ჩირუხისა და ფურტიოს მიმართულებები.

მეწყერსაწინაამღდეგო ღონისძიებები

2025 წელს, ფერდსამაგრი ნაგებობა მოეწყო 85-მდე ლოკაციაზე, შესრულდა 1 865 220 ლარის სამუშაოები.

ფერდსამაგრი კედლების მოწყობა გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე, მეწყერსაშიშ ზონებში პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით ხორციელდება, რაც ხელს შეუწყობს რამდენიმე ლოკაციაზე საცხოვრებელი სახლებისა და გზების დამეწყვრის რისკების შემცირებას.

წყალმომარაგება

შუახევში, სასმელი წყლის სისტემის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის უკეთესი წყალმომარაგების მიზნით 1 300 000 ლარი დაიხარჯა.

2025 წელს დასრულდა სასმელი წყლის მოყვანის სამუშაოები შემდეგ ლოკაციებზე: პაპოშვილები-გორი, ტომაშეთი საფუტკრეთის უბანი, ჩირუხი, ცეკვა-ცხემლისი, ზედაყანა, ქიძინიძეები და ოლადაური დოლაბის უბანი. ხოლო კეთილმოეწყო დაბის წყლის სათავე და სოლიხევში (დღვანი) გამწმენდი ნაგებობა.

წლის მოყვანის სამუშაოები მიმდინარეობს ოლადაურში, ფურტიოში გამართის უბანში და ვანში.

დაგეგმილია ნიგაზეულის წყლის გამანაწილებელი ავზებისა და ახალდაბის წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია და მთა მერიაყელში წყლის მოყვანა.

განხორციელდა სასმელი წყლის მილების განაწილება 50 000 გრძ/მ, რაზეც დაიხარჯა 32 000 ლარი.

ასევე, ვთანამშრომლობთ სს ,,აჭარის წყლის ალიანსთან", რომელიც შუახევში წყალმომარაგებაზე, კანალიზაციაზე და წყალარინების სისტემებზე 26 884 557 ლარს დახარჯავს.

მუნიციპალიტეტში თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგების და წყალარინების ინფრასტრუქტურის მოწყობა მიმდინარეობს.

პროგრამის ფარგლებში, გომარდულში უკვე დაწყებულია 100 m^3 მოცულობის წყლის რეზერვუარის არმირების სამუშაოები, ასევე მიმდინარეობს სეპტიკური ავზების და წყალმომარაგების ქსელების მოწყობა.

სამუშაოები პარალელურად რამდენიმე სოფელში ხორციელდება: გომარდული, ჭალა, წყაროთა, ბარათაული, კვიახიძეები, ბრილი.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ფარგლებში, სამშენებლო სამუშაოები შუახევის მუნიციპალიტეტის ჯამში 16 სოფელში და დაბა შუახევში ჩატარდება. ახალი კომუნალური ინფრასტრუქტურით, 1 645 ოჯახი ისარგებლებს.

მასშტაბური სამუშაოები წყალმომარაგების სათავე ნაგებობების, მაგისტრალური მილსადენების, რეზერვუარების, გამწმენდი ნაგებობებისა და წყალარინების ქსელის მშენებლობას მოიცავს.

პროექტის დასრულების შემდეგ, შუახევის 16 სოფელი და დაბა, 24 საათიანი, უწყვეტი წყალმომარაგებითა და გამართული წყალარინების სისტემით ისარგებლებს.

ელექტროფიკაცია

2025 წელს, განხორციელდა გომის მთის შიდა ქსელის მოწყობა დარჩენილ ლოკაციებზე, რომლის ბიუჯეტი - 53 000 ლარია.

ბოლო წლებში, სამთო იალაღებზე შიდა ელექტროგადამცემი ქსელი მოეწყო 10-ზე მეტ საზაფხულო იალაღზე, დაიხარჯა 4 000 000 - ლარზე მეტი.

საზაფხულო იალაღების პარალელურად, მუნიციპალიტეტის სოფლებში მიმდინარეობს გარე განათების მოწყობა, რომელიც მიმდინარე წელსაც გაგრძელდება. ჯამში, მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოწყობილია 13 000 გარე განათების ბოძი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, 628 000 ლარის ღირებულების 74 ღონისძიება დაიგეგმა, ეკონომიის შემდეგ კი დაემატა 20 ღონისძიება, დასრულდა 56 ღონისძიება, მათგან 33 ღონისძიება არ დასრულდა, რის გამოც გატარდა შესაბამისი ღონისძიებები. ხოლო 5 ღონისძიება გადავიდა 2026 წელში. საბოლოო შესრულებამ მიაღწია - 75,30 %-ს.

სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით, ძირითადად შიდა სასოფლო გზებზე ბეტონის საფარი დაიგო, მოეწყო გარე განათების ქსელი, სასმელი წყალი და წისქვილები.

განხორციელდა 3 ინფრასტრუქტურული მიზნობრივი პროგრამა:

1. დაბა შუახევისა და ხიჭაურის ტერიტორიაზე უპატრონო, მაწანწალა ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის პროგრამა, თანხით - 25 000 ლარი, დასრულდა 100 %-ით;

2. სამთო იალაღებზე მგზავრთა უფასო ტრანსპორტირების პროგრამა - 35 998 ლარი, დასრულდა 100 %-ით;

3. რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მომსახურების პროგრამა - 198 676,80 ლარი, შესრულებამ შეადგინა 142 773,79 ლარი (71,8 %), შეუსრულებლობის მიზეზი - დიდთოვლობისა და გზაზე ჩამოწოლილი მეწყერის გამო შეუსრულებელი რეისები, ასევე დარჩენილი ეკონომია.

სამსახურს დაქვემდებარებული ორგანიზაციაა მუნიციპალური სერვისების სააგენტო, რომელიც მომსახურებას უწევს: გარეგანათების, წყალმომარაგების, შიდა გზების მოვლას, მთებში ელექტრომომარაგების, სანდასუფთავება - გამწვანებისა და საკანალიზაციო სისტემების უზრუნველყოფას. სააგენტოს გამართული მუშაობისთვის 2025 წელს შევიძინეთ სატვირთო თვითმცლელი ავტომანქანა, რომელიც მუნიციპალური სერვისების სააგენტოს გადაეცა. ბიუჯეტი - 347 900 ლარი.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის მიმართულებით მუნიციპალიტეტში მოქმედებს: საჩითილე მეურნეობა - დაბა შუახევში, ვაზის სანერგე მეურნეობა - ახალდაბაში, ხოლო ხეხილის სანერგე მეურნეობა – ქიძინიძეებში.

ფერმერებს გადაეცათ 19 014 ცალი უფასო სასოფლო-სამეურნეო ჩითილები. ისარგებლეს აგრო-ბარათებით. სახელმწიფო დახვნის პროგრამით, დაიხვნა - 100 ჰა მიწის ნაკვეთი, მათგან 24 ჰა-ის დაფრეზვა მოხდა, ისარგებლა 320 ოჯახმა.

სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური და ტექნიკური საშუალებები გაიცა 255 ბენეფიციარზე, მეცხოველეობის პროგრამით ისარგებლა 100 ბენეფიციარმა, მოტოკულტივატორი და შემასხურებელი აპარატი გაიცა 220 ბენეფიციარზე, მცირე ფასიანი სამეურნეო საქონელი გაიცა 319 ბენეფიციარზე, მეფუტკრე ფერმერებს გადაეცათ 165 სკა.

აჭარის სოფლის მეურნეობის პროგრამებით სულ 1 200-მდე ბენეფიციარმა ისარგებლა. ბიუჯეტი - 428 000 ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული შუახევის მუნიციპალიტეტზე გადმოსაცემი კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
2026 წლის 28 იანვრის №9 განკარგულების
დანართი №5

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული შუახევის მუნიციპალიტეტზე გადასაცემი კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში განსახორციელებელი კაპიტალური პროექტების ჩამონათვალი

№	დასახელება	თანხა (ლარი)
1	მუნიციპალიტეტის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (ბეტონის საფარის, ახალი გზის მშენებელობა, დამცავი ბაგირების მოწყობა და მზა ბეტონის შესყიდვა)	2 320 000
2	სამთო იალაღებზე შიდა და გარე ელექტრო სისტემების მოწყობა	200 000
3	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები	1 536 073
4	სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა, ადმინისტრაციული შენობების, სოფლის სახლების და მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების მშენებლობა, რეაბილიტაცია	1 600 000
5	სოფლებში და სამთო იალაღებზე სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, არსებულის რეაბილიტაცია	950 000
6	სპორტული მოედნების მშენებლობა და არსებულის რეაბილიტაცია	300 000
7	არსებული ბაგა-ბაღების და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა	180 407
8	სარწყავი არხების რეაბილიტაცია	50 000
9	მოსაცდელების, მემორიალების და ფანჩატურების მშენებლობა, არსებულის რეაბილიტაცია და გარშემო ტერიტორიის კეთილმოწყობა	350 000
10	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემენა	150 000
11	დაბა შუახევში და სოფლებში გარე განათების სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია	100 000
12	სოფელ ჭალის ცენტრის და ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა	493 850
13	სოფელ გომარდულის ცენტრის და ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა	751 065
14	დაბა შუახევსა (საახალდაბო) და სოფელ ჩანჩხალოში საპიკნიკე ადგილების და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია	78 435
15	სოფელ ტომაშეთში არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები	57 985
16	დაბის კეთილმოწყობა	500 000
17	უჩამბის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა	282 185
18	საპიკნიკე ადგილების მოწყობა, (ტურისტული ლოკაცია) არსებულის რეაბილიტაცია	250 000
	სულ ჯამი	**10 150 000**

სწორია: